892.8
ᲒᲐ-781

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ვლადიმერ მკერვალიშვილი

‘უმარ იბნ ალ-ფარიდის ხამრია

სპეციალობა:
10.01.06 – მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ავტორეფერატი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სემიტოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნანა ფურცელაძე**

ოფიციალური ოპონენტები:

1. **მურმან ქუთელია,**
   ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 10.01.06
2. **მარინა თხინვალელი,**
   ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი 10.01.06

დისერტაციის დაცვა შედგება 2005წ. 31 მაისს 14 სა-ზ
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P.10.05. №8 სხდომაზე.

მისამართი: 0128 თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №36

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: 0147 თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2

ავტორეფერატი დაიგზავნა 28 · 04 2005წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი

რ. ციხითათრიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები და ამოცანები: ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სუფიური პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის მე-13 საუკუნის არაბი პოეტის 'უმარ იბნ ალ-ფარიდის „ხამრიის" (ღვინის ლექსი) ანალიზი. 'უმარ იბნ ალ-ფარიდის სუფიური ხამრია არაბულ პოეზიაში ერთ-ერთ ყველაზე მეტად საინტერესო ფენომენად ითვლება. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული იგი დიდ ინტერესს იწვევს, რადგან მიიჩნევა საკმაოდ რთულად გასაგებად, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის თვალსაზრისით. იბნ ალ-ფარიდის შემოქმედება, განსაკუთრებით კი სუფიური ღვინის ლექსი, არ არის სათანადოდ შესწავლილი. მართალია, ღვინის მოტივის არსებობა ჯერ კიდევ ისლამამდელ არაბულ პოეზიაში დასტურდება, მაგრამ სუფიური ღვინის ლექსი აბსოლუტურად დამოუკიდებელი გზით განვითარდა და მოიცვა რელიგიის, მისტიციზმისა და ფილოსოფიის ასპექტები. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოების კვლევას საფუძვლად უნდა დაედოს ტექსტის ანალიზი, რომელიც შემდგომ, ძიების მომდევნო საფეხურზე სხვადასხვა სფეროებთან კავშირში სხვადასხვა კუთხით გაშუქდება და შეივსება. ჩვენც სწორედ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელეთ და შევეცადეთ, 'უმარ იბნ ალ-ფარიდის პოეზიის მეტაფორული სისტემის შესწავლით, გამოგვევლინა ამ სისტემის სუფიური ქვეტექსტი. ამისათვის აუცილებელი გახდა ერთი მხრივ 'უმარ იბნ ალ-ფარიდის დივანის სხვა ჟანრების (განსაკუთრებით სატრფიალო ლირიკის, ღაზალების) მონაცემთა გათვალისწინება, მათი შედარებითი შესწავლა და მეორე მხრივ, იბნ ალ-ფარიდის ცხოვრების, მისი მოღვაწეობის ეპოქის ლიტერატურულ-ისტორიული შესწავლა. რადგან დადასტურებულია, რომ იბნ ალ-ფარიდი იყო სუფი პოეტი და მისი ყველა ნაწარმოები მოითხოვს დეკოდირებას, ამიტომ ხამრიის შესწავლა ვცადეთ სამ სემანტიკურ სისტემა-